თუმცა უნდა ითქვას, რომ აუზი უკვე არის, არის წყალიც, ხალხმა იცურავა კიდეც შიგ, მაგრამ წყალი არ თბება. ამბ. ტარბა ყოველთვის ამბობდა, რომ სოხუმელი სპორტსმენები იძულებული არიან სოჭში წყვიდნენ ცურვაში სავარჯიშოდ. საქმე ის არის, რომ ამხანაგებმა გადაწყვეტილეს ყველა სამეშაო ამ აუზში განახორციელებინათ მეტად დიდი მასშტაბით. საჭიროა კი იყო, რომ პირველ რიგში გადაეწყვიტათ წყლის გათბობის საკითხი, რათა სპორტსმენებს შეძლებოდათ ზამთრის დროს ცურვა და შემდგომ აეშენებინათ ტრიბუნები. სპორტსმენებისათვის თვითონ ნაგებობა უკვე მომზადებულია. ამ აუზში შეიძლება და კიდეც უნდა ემზადებოდნენ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებიც. ამიტომ ჩვენი თხოვნაა ადგილობრივი ამხანაგებისადმი თვითონ და რაც შეიძლება მალე გადაწყვიტონ ეს საკითხი. რაც უფრო მალე გადაწყვიტეს წყლის გათბობის საკითხს, მით უფრო მეტად მადლიერი ვიქნებით თქვენი, მით უფრო მეტად იქნებიან კმაყოფილნი თქვენი სპორტსმენებიც.

რაც შეეხება სტადიონის მშენებლობის საკითხს, მემაჩნია, რომ უსრულოა კია სოხუმს სტადიონი არ ჰქონდეს. მაგრამ, თუ სტადიონის მშენებლობაზე მხოლოდ სამი კაცი იმუშავებს, როგორც ახლა, რა თქმა უნდა უახლოეს ათ წელიწადშიც სტადიონი მზად არ იქნება. მე შევადგინეთ, თუ როგორ მომდინარეობს სტადიონის მშენებლობის სამუშაოები და ავმოგარკვიე, რომ იქ მხოლოდ სამი კაცი მუშაობდა. ჯეროვნად უნდა მოვიკიდოთ ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან ეს ისეთი ნაგებობაა, რომელიც ყურადღებას საჭიროებს.

აბარის დეპუტატი დ. დიასამიძე სვამს საკითხს მსხვილი კომპლექსური სპორტული ნაგებობის მშენებლობის შესახებ. მიმაჩნია, რომ დიდი ნაგებობის მშენებლობას აზრი არა აქვს. ჩვენ თბილისში ავაშენეთ სპორტის სასახლე და ვერაფრით ვერ მოვახერხებია მისი დატვირთვა იმის გამო, რომ ყოველთვის არ არის ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ 10 ათასი მაყურებლის დასწრებას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომბინატი უკვე შეგიოთხნდმათ ამ საკითხზე. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ლაჩარის ბილეთების რეალიზაციის შედეგად ჩვენთვის ჯამოყოფილი გარკვეული თანხით, წიღორბინა საწყისებზე თქვენთან ერთად ბათუმში ავაშენოთ. სამდარბაზიანი სპორტული კომბინატი. თანხების ნაწილს მოგაგზავნთ ჩვენ. მეტი ნაწილი კი ჯამოყავით ადგილობრივი შესაძლებლობებიდან.

დეპუტატი ზ. ბასიერი ჯამოიდა ძველი სპორტული ტრადიციების თაობაზე. იყო დრო, როცა თქვენ კარგ სპორტსმენებს ჯეიზაჯნიდით (უკანასკნელი იყო მოჭიდავე ბაბარაული, მას შემდეგ ცხოვრებობენ). თქვენ ისევ სპორტული ბაზა გაქვთ, მაგრამ სპორტული მაჩვენებლები დაქვეითდა. ამისათვის უნდა ეზრუნონ ადგილობრივმა ამხანაგებმა და ბანახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

რაც შეეხება სტადიონს, რომელიც ჯერ კიდევ არა გაქვთ, უნდა ითქვას, რომ ამის შესახებ უკვე 10 წელია ლაპარაკობ. თავიდანვე რომ მოეწყოთ ადგილობრივ ორგანიზაციებს შაბათობები მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ ეს საკითხი უკვე დიდი ხანია დადებითად გადაწყდებოდა.

რამდენიმე სიტყვა უმაღლესი სასწავლებლების სპორტული ბაზების საკითხზე. ჩინებული ბაზის მშენებლობა მთავრდება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და უნდა აღინიშნოს, რომ რექტორატმა და პირადად ამბ. სარიშვილმა ძალიან ბევრი რამ გააკეთეს ამ ბაზის მშენებლობის დასაჩქარებლად.

რაც შეეხება სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, ნება მიბოძეთ შემდეგი ვთქვა: არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს საცურაო აუზი, რომელშიც შეიძლება მთელი წლის მანძილზე ცურვაში მეცადინეობა.

არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს მძლეოსნობის სექტორები და სარბენი ბილიკები. ამასაც სრული პასუხისმგებლობით ვიტყვიდე.

ინტერნატებში კვების საკითხის თაობაზე აი რა შეიძლება ითქვას: ამ საკითხზე ჯამოვიდი მოსკოვში ძალიან თანრთ ატრიბის წინაშე, სადაც ესწრებოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, 800-ზე მეტი კაცი და მისაყვედურეს, სწორი კიდერები არ დასასხელ, შემცირება კი არა პირიქით არისო.

გუშინ ჩემს მოხსენებაში ვთქვი ეს და ალბათ ამხანაგი პავლოვი ამას ყურადღებას მიაქცევს.

ეს რომ მარტო ჩვენ როდი უნდა აღვერთო ეს საკითხი. ეს საკითხი ყველას ეხება და უნდა დაისვას ზომდგომი ორგანოების სამუალებით. თუ ერთად ვიმუშავებთ ამ საკითხის გადასაწყვეტად, გაგვიადვილდება გარკვეული შედეგების მოპოვება.

სესიაზე ჯამოსულმა ამხანაგებმა შემოიტანეს ძალიან საქმიანი წინადადებანი. მთავრობა განიხილავს მათ და გაგვიწევს შესაძლო დახმარებას.

ფიზკულტურელთა მილიონიანი არმიის სახელით ერთხელ კიდევ მსურს სულითა და ჯელით ჯადავიხადო მადლობა იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხი დაისვა სესიის განსახილველად სწორედ ამ ეტაპზე. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ, მიუხედავი ოლიმპიური ასპარეზობის წინ.

სესიის მიერ დასახული ღონისძიებანი ქართველ სპორტსმენებს. ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობას საშუალებას მისცემენ ყველაფერი იღონონ, რათა ბრამარლონონ თქვენი ნდობა! (ტაში).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
თ. ვ. ლაშქარა-შვილის
სიტყვა

ჩვენი ამოცანაა, რომ უფრო და უფრო გაგაუმჯობესოთ და სრულყოფთ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა სკოლებში. აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა.

საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აშენდა 85 სპორტული დარბაზი, მოეწყო ბევრი სპორტული მოედანი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას.

ყოველივე ამან ბანაპირობა ის, რომ სულ უფრო და უფრო ფართოდ ინერგება ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ჩვენს სკოლებში და მოსწავლეთა შორის.

აქ სავსებით სამართლიანად აღნიშნა მომხსენებელმა, რომ ჯერ კიდევ გვაკლია სპორტული ბაზები, თუმცა ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მაინც ბევრგან არა გვაქვს კარგი მდგომარეობა.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგჯერ მართლაც არ ითვალისწინებენ ისეთ დიდ დასახლებებს, როგორიც არის, ვთქვათ, საბურთალოს მასივი. აქ ცოტაა სპორტული ნაგებობა. პეკინის და საბურთალოს ქუჩის კუთხის სახლების მცხოვრებნი გულისწყრომით აღნიშნავენ, რომ ბავშვებმა გადათელეს კარგი ნაკვერი. და ეს არ არის გასაკვირი იმიტომ, რომ ამ ზონა სახლებია და სასპორტო მოედნები არსად არ არის. ამაზე ბევრს ვოთაპარაკობთ. მაგრამ ჯერჯერობით ზომებს არ ვიღებთ.

ამ ბოლო დროს ხუთი დიდი ნაგებობაა ვათვალისწინებული, მაგრამ იმის გამო, რომ ადგილებზე არ მიეცა ამას სათანადო ყურადღება, ჯერ კიდევ მათი მშენებლობა არ არის დამთავრებული. ასეთია მაგალითად, საცურაო აუზი საბურთალოზე, რომლის მშენებლობა არათუ დამთავრებული, შეჩერებულიც კია. კიდევ ერთი აუზი უნდა აშენდეს თბილისში, მაგრამ ჯერ ვერ გამოინახა თანხა და ტერიტორია. ქ. ქუთაისშიც ასაშენებელია აუზი, მაგრამ იქაც ასეთივე მდგომარეობაა, საჭიროა საქალაქო, რაიონულმა აღმასკომებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა მეტი დახმარება გაგვიწიონ.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ყოველწლიურად 200 ათასი მანეთი იხარჯება ლაბორატორიების მოწყობისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. 200 ათასი მანეთი მხოლოდ ფიზკულტურული იარაღების და დარბაზების მოწყობაზე არის გამოყოფილი. როგორც ხედავთ, ეს არც თუ ისე მცირე თანხაა. თანხები იხარჯება, მაგრამ ამ მიზნობრივად, ვინაიდან არ იმოვება ის სპორტული ინვენტარი, რაც საჭიროა.

ბოლოს, უნდა აღვნიშნო ის, რომ დღეკანდელ სესიაზე ამ საკითხის განხილვა დიდად შეუწყობს ხელს ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებას და, რასაკვირველია, შემდეგში ჩვენ უფრო და უფრო უკეთესი მაჩვენებლებისათვის უნდა ვიბრძოლოთ.

დეპუტატ
გ. გ. ძაძამიას
სიტყვა

ამ უკანასკნელ წლებში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებებ ი ს შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წალენჯიხის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. დღეისათვის ჩვენს რაიონში სხვადასხვა სექციებში გაერთიანებულ სპორტსმენთა რიცხვმა 8600-ს გადაკაჭარბა. დანერგილია და ეფექტიანად გამოიყენება რაიონის კოლმეურნეობებში, ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიში.

მიღებულია ღონისძიებები რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის სწავლების გასაუმჯობესებლად. რაიონის 30 სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივში 4200-ზე მეტი მოსწავლეა ჩაბმული. ამასთან ქალაქის პირველი საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას იწყებს განათლების განყოფილების ბაზებთა სპორტული სკოლა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეს. ამის შედეგად რაიონის ახალგაზრდობამ მიიღო კარგი საჩუქარი — ფეხბურთის კეთილმოწყობილი სტადიონი.

ცნობილია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მაღალი დონე შეუძლებელია სათანადო ბაზის არსებობის გარეშე. ამ მხრივ კი რაიონში ყველგან როდი გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. ჯერ კიდევ მეტ წილ სკოლებში, კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში არა გვაქვს სპორტ-დარბაზები და სხვა კეთილმოწყობილი ნაგებობანი. ამასთან არა ვართ უზრუნველყოფილი სათანადო კვალიფიციური კადრებით.

თვითერჩიკის ნაშნით უნდა აღვნიშნო, განაგრძობს ორატორი, რომ რაიონში სუსტად ინერგება და ვითარდება სპორტის ისეთი ეროვნული სახეობები, როგორიცაა ქართული ჭიდაობა. ლელობურთი და ცხენსნობა. განსაკუთრებით კი ხაზი უნდა გავუსვათ ამ უკანასკნელს. სპორტის ამ საინტერესო სახეობის განვითარებისათვის დაფიქრდება შესაბამის ზემდგომ ორგანოთა დახმარება და მხარდაჭერა.

სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში. ამ საკითხში, ჩვენს აზრით, მხოლოდ რაიონის ადგილობრივი ძალები და საშუალებები საკმარისი არ იქნებოდა. ნაკლებად ეწყობა შეხვედრები რაიონში რესპუბლიკის სპორტის გამოჩენილ ადამიანებთან. იშვიათად ეწყობა მაღალი კლასის გუნდების საჩვენებელი შეჯიბრებები ადგილებზე. ყოველივე ეს რომ იყოს, უდავოდ ხელს შეუწყობდა ახალგაზრდობის დაინტერესებას. მოსწრაფებასა და სიყვარულს სპორტისადმი.

დეპუტატ
ე. კ. ბარდაველიძის
სიტყვა

ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში ამ უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გასწიეს თერჯოლის რაიონის საბჭოსო განათლების დარგის მუშაკებმა, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, მაგრამ აქვე უნდა დავძენო, რომ რაიონში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ჯერ მივადწიეთ იმას, რომ ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში კვლავდეს კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები და ბაზები, გვაკლია თანხები სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობების შესაძენად, რაც შეეხება სპორტულ დარბაზებს, ისინი მხოლოდ რაიონს აქვს სკოლაშია მოწყობილი, რის გამოც ცუდ ამინდში ფიზკულტურის გაკვეთილები პროგრამას ვერ საბამისად არ ტარდება.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანია ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. რაოდენობრივად მასწავლებლები თითქოს საკმარისია, მაგრამ მათი უმრავლესობა, თუმცა დიპლომებში აქვთ ფიზკულტურული მუშაობისათვის, უფარგისია, ვინაიდან არ შეუძლიათ სპორტის ამა თუ იმ სახეში ახალგაზრდობის კვალიფიციურად წვრთნა.

სკოლაში ფიზკულტურის აღზრდის მასწავლებელთა უპასუხისმგებლობას იწვევს აგრეთვე მათზე კონტროლის დაუწესებლობა. სკოლის დირექტორები თავს არიდებენ ფიზკულტურის გაკვეთილებზე დასწრებას.

ამასთან ჩვენი თხოვნაა შესაბამისმა ორგანოებმა გაგზავნონ სოფლად სამეშაოდ კვალიფიციური მწვრთნელები დიდი ხნით თუ არა, ორი-სამი წლით მაინც, როგორც ეს ხდება ექიმების, ინჟინრების თუ სხვა სპეციალისტების განაწილების დროს.

ნაკლოვანებანი გვაქვს აგრეთვე კოლმეურნეობებში სპორტული ბაზების მოწყობის საქმეში. სოფლის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ სპორტის გარეშეა დარჩენილი.

ამჟამად პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ ხორციელდება ბევრი პრაქტიკული ღონისძიება. დაისახა ღონისძიებანი სპორტული ბაზების განმტკიცებისათვის, ფიზკულტურული კადრების შერჩევისათვის, სპორტული მუშაობის დარგში სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ფიზკულტურული მუშაობა გაციცხელებით მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ.

(საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის
დეპუტატ გ. ვ. სიხარულიძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

არის მთელი რიგი საკითხები, რომლებზეც შევჩერდები მასუხი გავცე. პირველი საკითხი: სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს გადაერქვა სახელი და ეწოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, ასევე მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში და შესაბამისად — ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, რაიონებსა და ქალაქებში. რა ცვლილებანი მოხდება ჩვენში?

როგორი იქნება შტატების, ბიუჯეტის საქმე და რა უნდა გავაკეთოთ? ამაზე, როგორც ჩანს, თავმჯდომარეთა ჯგუფი გვეკრძა.

მე ვფიქრობ, რომ პირველი საბიუჯეტო წელი ეს არის 1970 წელი. ჩვენ ყოველთვის ვგეგმავდით და ამჯერადაც დაგეგმავდით ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში. ალბათ, იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება, თუ სრულიად საკავშირო მასშტაბისა არა, მაშინ რესპუბლიკა ოვითონ მიიღებს ღონისძიებებს ამ საკითხზე.

მეორე საკითხი წმინდა სამეურნეო საკითხია. როგორც ჩანს, ისევ დიდი რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეთა ჯგუფი ვვთხოვს, რომ უზრუნველყოფთ ტრანსპორტით.

მიმაჩნია, რომ სპორტული მუშაობის საკითხების მოწესრიგებაში ვვიდმარეგიან ადგილობრივი ორგანიზაციები, განსაკუთრებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. შემდგომ ისინი ბევრივ ნიგნებ დახმარებას საარანსპორტო საკითხის გადაწყვეტაშიც.

მე მაქვს ბარათი რომელსაც ხელს იბეჭდება შემოკლებით.

ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან ეს ისეთი ნაგებობაა, რომელიც ყურადღებას საჭიროებს.

აბარის დეპუტატი დ. დიასამიძე სვამს საკითხს მსხვილი კომპლექსური სპორტული ნაგებობის მშენებლობის შესახებ. მიმაჩნია, რომ დიდი ნაგებობის მშენებლობას აზრი არა აქვს. ჩვენ თბილისში ავაშენეთ სპორტის სასახლე და ვერაფრით ვერ მოვახერხებია მისი დატვირთვა იმის გამო, რომ ყოველთვის არ არის ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ 10 ათასი მაყურებლის დასწრებას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომბინატი უკვე შეგიოთხნდმათ ამ საკითხზე. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ლაჩარის ბილეთების რეალიზაციის შედეგად ჩვენთვის ჯამოყოფილი გარკვეული თანხით, წიღორბინა საწყისებზე თქვენთან ერთად ბათუმში ავაშენოთ. სამდარბაზიანი სპორტული კომბინატი. თანხების ნაწილს მოგაგზავნთ ჩვენ. მეტი ნაწილი კი ჯამოყავით ადგილობრივი შესაძლებლობებიდან.

დეპუტატი ზ. ბასიერი ჯამოიდა ძველი სპორტული ტრადიციების თაობაზე. იყო დრო, როცა თქვენ კარგ სპორტსმენებს ჯეიზაჯნიდით (უკანასკნელი იყო მოჭიდავე ბაბარაული, მას შემდეგ ცხოვრებობენ). თქვენ ისევ სპორტული ბაზა გაქვთ, მაგრამ სპორტული მაჩვენებლები დაქვეითდა. ამისათვის უნდა ეზრუნონ ადგილობრივმა ამხანაგებმა და ბანახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შექმნილი მდგომარეობის ჯამოსასწორებლად.

რაც შეეხება სტადიონს, რომელიც ჯერ კიდევ არა გაქვთ, უნდა ითქვას, რომ ამის შესახებ უკვე 10 წელია ლაპარაკობ. თავიდანვე რომ მოეწყოთ ადგილობრივ ორგანიზაციებს შაბათობები მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ ეს საკითხი უკვე დიდი ხანია დადებითად გადაწყდებოდა.

რამდენიმე სიტყვა უმაღლესი სასწავლებლების სპორტული ბაზების საკითხზე. ჩინებული ბაზის მშენებლობა მთავრდება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და უნდა აღინიშნოს, რომ რექტორატმა და პირადად ამბ. სარიშვილმა ძალიან ბევრი რამ გააკეთეს ამ ბაზის მშენებლობის დასაჩქარებლად.

რაც შეეხება სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, ნება მიბოძეთ შემდეგი ვთქვა: არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს საცურაო აუზი, რომელშიც შეიძლება მთელი წლის მანძილზე ცურვაში მეცადინეობა.

არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს მძლეოსნობის სექტორები და სარბენი ბილიკები. ამასაც სრული პასუხისმგებლობით ვიტყვიდე.

ინტერნატებში კვების საკითხის თაობაზე აი რა შეიძლება ითქვას: ამ საკითხზე ჯამოვიდი მოსკოვში ძალიან თანრთ ატრიბის წინაშე, სადაც ესწრებოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, 800-ზე მეტი კაცი და მისაყვედურეს, სწორი კიდერები არ დასასხელ, შემცირება კი არა პირიქით არისო.

გუშინ ჩემს მოხსენებაში ვთქვი ეს და ალბათ ამხანაგი პავლოვი ამას ყურადღებას მიაქცევს.

ეს რომ მარტო ჩვენ როდი უნდა აღვერთო ეს საკითხი. ეს საკითხი ყველას ეხება და უნდა დაისვას ზომდგომი ორგანოების სამუალებით. თუ ერთად ვიმუშავებთ ამ საკითხის გადასაწყვეტად, გაგვიადვილდება გარკვეული შედეგების მოპოვება.

სესიაზე ჯამოსულმა ამხანაგებმა შემოიტანეს ძალიან საქმიანი წინადადებანი. მთავრობა განიხილავს მათ და გაგვიწევს შესაძლო დახმარებას.

ფიზკულტურელთა მილიონიანი არმიის სახელით ერთხელ კიდევ მსურს სულითა და ჯელით ჯადავიხადო მადლობა იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხი დაისვა სესიის განსახილველად სწორედ ამ ეტაპზე, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ, მიუხედავი ოლიმპიური ასპარეზობის წინ.

სესიის მიერ დასახული ღონისძიებანი ქართველ სპორტსმენებს. ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობას საშუალებას მისცემენ ყველაფერი იღონონ, რათა გამამართლონ თქვენი ნდობა! (ტაში).

კამათი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივ კომისიათა მუშაობის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ
ზ. პ. ლეჟავას
სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ს. რიგვავას მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები ეჭდევ ერთხელ თვალნათლივ გვიდასტურებენ იმას, თუ რაოდენ ნაყოფიერი შედეგებია მიღწეული ჩვენს რესპუბლიკაში კულტურული მშენებლობის დარგში. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ამ მხრივ ბევრი რამ საგულისხმო და მნიშვნელოვანი გაკეთდა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც, სადაც ადრედ გაფართოვდა კულტურულ დაწესებულებათა ქსელი.

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს რესპუბლიკის ქალაქების, რაიონული ცენტრების, სოფლების გზებს, კურორტების და სხვათა ესთეტიკური სახის გაუმჯობესებას. აშკარაა ისიც, თუ რა დიდი როლი ეკუთვნის ამ საქმეში მოწამეტური და დეკორატიული ხელოვნების ქმნილებებს. ბევრი ასეთი ნაწარმოები უკვე ამშვენებს შენობებს, მოედნებს, პარკებს, ეზოებს, სატრანსპორტო მაგისტრალებს. მაგრამ არც ის არის დასამალავი, რომ აქა-იქ ჯერ კიდევ არის ფერწერისა თუ ქანდაკების ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ადასებენენ მონუმენტური პროპაგანდის იდეას. ცხადია, დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ ადეკვეთოს ამგვარი მაბაკური პრაქტიკა, ხოლო უხარისხო ნაწარმოებები მოიხსნას.

ჩვენი ხალხის ესთეტიკური აღზრდის, განსაკუთრებით სამხატვრო პროპაგანდის ჯეროვნად გაშლის ინტერესები ბევრს ავალდებულებენ პერიოდულ პრესას, რადიო და ტელემაუწყებლობას, გამ ო მ ც ე მ ლ ო ბებს. ამით მე სრულიადაც არ მინდა იმის თ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის სხდომები

(დასასრული)

———

უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა დაპროექტების შესახებ: მიუხედავად უკანასკნელ წლებში მიღწეული პროგრესისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩამორჩენას სამშენებლო ორგანიზაციების პროექტებით და ხარჯთაღრიცხვებით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფის საქმეში. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ წლების განმავლობაში არ სრულდება მთავრობის დადგენილება გეგმური ობიექტების პროექტებით და ხარჯთაღრიცხვებით პირველი სექტემბრისათვის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, პროექტებს ვღებულობთ ნაწილ-ნაწილ თითქმის მთელი სამშენებლო წლის განმავლობაში.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ შევეხო საბინაო მშენებლობის სტრუქტურას ქალაქ თბილისში. თბილისში ამჟამად არსებული სტრუქტურა საგანგებო მშენებლობის ნორმალურად განვითარებას და იმ მოთხოვნილებებს დაკმაყოფილებას, რომლებსაც თბილისის მოსახლეობა გვიყენებს. რა თქმა უნდა, არსებული სტრუქტურაში ჩვენი მოუქნელი მუშაობის გამო ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები, მაგრამ ცხადია, რომ მარტო მათი გამოყენებით საბინაო მშენებლობის პრობლემა ვერ გადაიჭრება.

თბილისის საბინაო მშენებლობის განვითარების გენერალური ხაზით, აბბოლო დეპუტატები, სხვა მოწინაწე ქალაქების მაგალითით დადგენილი უნდა იქნეს დიდ პანელიანი სამშენებელო კომბინატების განვითარება. გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვნად ჩამოვრჩით საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებს და თითქმის გადაუჭრელი პრობლემებს წინაშე აღმოვჩნდით.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან დაბალია და ზოგიერთ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი.

როდესაც მშენებლობის ხარისხზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ჩვენი საკუთარი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით. შემიძლია მოვიყვანო მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტი სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებისა, რომლებიც მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო ჩვენი თანამოანაწილეები ამ საქმეში, როგორიცაა თბილსანტექმონტაჟი, რომლის შესრულებულ სამუშაოებზე საჩივრებს საზღვარი არა აქვს, ნაკეთობათა მომწოდებელი ქარხნები, როგორიცაა რუსთავის დიდი პანელიანი ტიპრების დამამზადებელი ქარხანა, მშენებლებუტრიისა და მთავართბილისშენის მსხვილი ბლოკების კონსტრუქციების და დეტალების მიმწოდებელი საწარმოები, პარკეტის საღებავების, რკინაბეტონის და სხვა მოსაპირკეთებელი მასალების მომწოდებელი ორგანიზაციები.

აქედან ცხადი ხდება, რომ ხარისხისათვის ბრძოლაში უნდა ჩაეპან მრავალრიცხოვანი კოლექტივები, რომლებიც მონაწილეობენ სამშენებლო წარმოებებში და გავლენას ახდენენ საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების ხარისხზე.

დეპუტატ ზ. ა. ოქრომჭედლიშვილის

სიტყვა

დღეანდელ სესიაზე წარმოდგენილ კომისიათა მოხსენებებში ნათლად იყო ნაჩვენები ის მიღწევები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის, კეთილმოწყობის და კულტურის დარგებში. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ გაიზარდა და ამაღლდა ჩვენი სოფლების ცხოვრების დონე, როგორ იცვალა მან თავისი გარეგნული სახე. საგარეჯოს რაიონის სოფლებში უკანასკნელ ორ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა 3 სკოლის შენობა, 4 საექიმო ამბულატორია, 5 კეთილმოწყობილი მაღაზია და სასადილო, 15 საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა, 3 სამაგვიმო ბაგა და სხვა. ჯარდა ამისა რაიონულ ცენტრში აშენდა 20-ზე მეტი კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სხვა შენობები.

ჩვენი რაიონის სოფლებში, ამბობს დეპუტატი, ისევე როგორც სხვაგან, კოლმეურნეები იშენებენ საკუთარ ბინებს. რა თქმა უნდა, ახალ შენოპათა განლაგებას სასოფლო საბჭოები ერთგვარ კონტროლს უწევენ, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ მარტო ამით შორს ვერ წავალთ. რატომ არ უნდა ჰქონდეს შედგენილი ჩვენს სპარეალურ ორგანიზაციებს ჩვენი ყოფის შესაფერისი სახლების ტიპიური პროექტები, რომელთა მიხედვითაც განაშენიანდება სოფლები. ამასთან ერთად, დადგა იმის დრო, რომ ჩატარდეს სოფლების დაგეგმარება, პირველ რიგში დიდი სოფლებისა.

ვსარგებლობ რა დღევანდელი ჩემი გამოსვლით სესიაზე, მე მინდა დავაყენო ერთი საკითხი, რომელიც მეტად აწუხებთ ჩვენი რაიონის სოფლების მშრომელებს, თქვენთვის ცნობილია, თუ რა დიდი სამუშაოები ჩაატარა მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, რომელიც აშენებს ქვემო სამგორის სარწყავ სისტემას. აღნიშნულ მშენებლობაში გათვალისწინებული იყო მდინარე იორის ფილტრატიდან სასმელი წყლის გაყვანა სადგურ ბადიაურის ახლოს, ეს საქმე გაკეთდა, მაგრამ მეორე წელია წყალსაქაჩი არ მუშაობს. და ამ ხნის განმავლობაში იმაზე ფიქრობენ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში, თუ ვის გადასცენ აღნიშნული წყალსაქაჩი ექსპლოატაციისათვის.

ბოლო წლებში, განაგრძობს დეპუტატი, ძირეულად გაუმჯობესდა კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრივ არ გვაქვს საქმე კარგად. ჯერ კიდევ კულტურის ბევრი დაწესებულება მეუფლებენ ბინებია მოთავსებული, რაც მის მუშაობას ელფერს უკარგავს. რაიონის ყველა სოფელში, განსაკუთრებით მაღალმთიან ზონაში არ არის შესაძლებლობა კინოსეანსების ჩვენებისა. ამიტომაა, რომ წლების განმავლობაში რაიონში არ სრულდება კინოს შემოსავლების გეგმები.

დეპუტატ შ. ა. სალარიძის

სიტყვა

ფრიად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას ქართველ კინემატოგრაფიტსთა წინაშე.

გასულ წელს მთავრობის დადგენილებით კინემატოგრაფიის სისტემაში მოხდა რეორგანიზაცია, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. რესპუბლიკის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების დაწესებულებები წლების მანძილზე ვერ ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმებს. 1968 წელს განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებების შედეგად მივაღწიეთ ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციას.

საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ.

კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ 1968 წელს სტუდიამ ვერ შეასრულა მხატვრული ფილმების გამოშვების პროგრამა.

მხატვრული ფილმების გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად აიხსნება გადამღები ჯგუფების ცუდი მუშაობით, ფილმების წარმოების ყოველდღიური ნორმების და დადგენილი ვადების უხეში დარღვევით, სტუდიის ზოგიერთი რგოლის მოუქნელი მუშაობით. ამასთან ერთად სტუდიის მიერ გამოშვებული ცალკეული ფილმები ვერ აკმაყოფილებენ მაყურებელს თავისი იდეურ-მხატვრული დონით.

გასულ წელს ზოგიერთი ქალაქის და რაიონის კინოჭსელი კვლავ ბალში დარჩა სახელმწიფოს წინაშე. ამის ძირითად მიზეზად მიგვაჩნია კინოქსელის ადგილობრივი ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კინომომსახურების მხრივ სოფლად, რაც ძირითადად გამოწვეულია კულუბებისა და კინოსაჩვენებელი ადგილების ნაკლებობით.

რესპუბლიკის კინოფიკაციის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალი კინოთეატრების მშენებლობას.

რა მდგომარეობა გვაქვს მშენებლობის დარგში? 1968 წელს რესპუბლიკაში უნდა დამთავრებულიყო რვა ახალი კინოთეატრი. მაგრამ მშენებლობათა ვადების გაჭიანურების გამო საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ ორი. ექვსი ობიექტის მშენებლობამ გადმოინაცვლა 1969 წლისათვის.

სოფლის კინოქსელის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ამბობს დეპუტატი, გადაწყვეტილი გვაქვს საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად ჩაატაროთ სოფლის კინოდანადგარების რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება.

ქართველი კინემატოგრაფისტები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ეჭვი არ არის, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ქართველი კინემატოგრაფისტები მიაღწევენ ახალ წარმატებებს თავის საქმიანობაში. (საქ-დესი).

მეგობროგის გაკსტროლები

საერთო ანსამბლურობა

გალეტი „პან ტვარდოვსკი"

ძნელია მთლიანზე ლაპარაკი, როცა თვალწინ გიდგას მხოლოდ მისი მცირე ნაწილი, ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. მეტადრე, თუ ეს მცირე ნაწილი შეიცავს მთელის ძირითად ტენდენციებს, იტევს მის არსს.

საქმე ეხება პოლონურ ბალეტს და მის განუყოფელ ნაწილს — ლოძის დიდი თეატრის საბალეტო დასს, რომელმაც ამჟამად თბილისელებს უჩვენა ლუდომირ რუჟიცკის ბალეტი „პან ტვარდოვსკი".

თეატრი სწორად მოიქცა, როცა თავის სგალტროლო რეპერტუარში ეს ბალეტი შეიტანა. მასში, როგორც ფოკუსში აისახა პოლონეთის საბალეტო ხელოვნების მდიდარი ეროვნული ტრადიციები და მისი დღევანდელი დონე. მასში ჩანს სული პოლონური და რუსული კლასიკური საბალეტო ხელოვნების შემომქმედებითი კავშირისა, რაც მუდამ ატოცებლებს მეხსიერებაში პოლონელების ვაცლავ და ბრონისლავ ნიჟინსკიების, თვალდორი და მატილდა კშესინსკიების სახელებს. რომელთაც ადრე რუსული ბალეტი ასახელეს, ავრეთვე რუსი ბალეტმეისტერების ლეგ ივანოვისა და მიხეილ ფოკინის სახელებს. რომელთაც არაერთი ბრწყინვალე დადგმა განაზორციელეს პოლონეთში. რუსული კლასიკური ბალეტის რეალისტური ტრადიციები ეოცსტლობენ თანამედროვე პოლონეთის საბალეტო ხელოვნებაში და ეროვნული საცეკვაო ფოლკლორის მრავალფეროვან სახეობასთან მთლიანობაში წარმოქმნიან პოლონეთის კლასიკური ბალეტის განუმეორებელ თავისებურებას. „პან ტვარდოვსკი" სწორედ ასეთი ნიმუშია.

ლუდომირ რუჟიცკის ბალეტს საკმაოდ მდიდარი სასცენო ისტორია აქვს. 1921 წლიდან დაწყებული, როცა ბალეტი ვარშავის დიდ სათეატრო თეატრში დაიდგა, იგი სცენიდან არ ჩამოდის. ის დაუდგამთ ვროცლავში, გდანსკში, პოზნანში და ისევ ვარშავაში, საბჭოთა ქალაქ ლვოვში (1958 წელს) და ავერ ახლა — ლოძის დიდ თეატრში. ბალეტმა ისტორიის გამოცდას გაუძლო. მისი მელოდიური, ემოციური, საცეკვაო მუსიკა, რომელშიც კლასიკური ქორეოგრაფიული „ფაქტურა" ოქროსფერად შეხამებულია ეროვნული პოლონური ფოლკლორის ელემენტებთან. მდიდარ მასალას აძლევს ფიქრისა და ფანტაზიისათვის ბალეტმეისტერს. უზრუნველყოფს საბალეტო ლექსიკისათვის ფართო სივრცის და ქმნის საცეკვაო ფორმების ფანტასტიკურ ნაირფეროვნების შესაძლებლობას. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ ლ. რუჟიცკის ბალეტს ჰქონდა არა ერთი, არამედ რამდენიმე სცენური რედაქცია (მას დადგინენ ბალეტმეისტერები ს. მიშჩიკი, მ. კოპინსკი, ზ. პატკოვსკი, ი. იაკინოვნა, ფ. პარნელი, ნ. ტრეგუბოვი და სხვ.), არა ერთი, არამედ რამდენიმე სცენარი-ლიბერტო. დამდგმელთა და ლიბერეტისტების ფანტაზია მუდამ ემყარებოდა ხოლმე უბრალო, ძველებური პოლონური თქმულების სიუჟეტს. ეს არის ლეგენდა ალჭიბიოს პან ტვარდოვსკიზე, რომელმაც გოეთის ფაუსტის მსგავსად შიპყიდა ეშმაკს სული, მაგრამ ამით მას არც ბედნიერება მოუპოვებია, არც ბედნიერებინა. როგორც არ უნდა ვეიგზარებინათ ლიბერეტისტებს და დამდგმელებს ლეგენდის სიუჟეტი, ცალკეული სიუჟეტური ხაზების რანაირი ტრანსფორმაციაც არ უნდა მოეხდინათ, ბალეტის ფარგლებ შინაარსი ფდეურ-თეატური და მასთან ერთად ბალეტის ეროვნული მიმართულება მაინც ოქროსფერ რჩებოდა. ალჭიმიკოსზე არსებული თქმულების სიუჟეტი იყო არა იმდენად საშინაო ყოფიერების არსის ფილოსოფიური გააზრება, რამდენადაც ეროვნის საზეიმოებისა და საცეკვაო ლექსიკის გაფართოების შესაძლებლობა. და თუ დასაწყისში, ექსპოზიციაში „ფაუსტურ" პროლოგში იქმნება პატარა საფრთხე ბალეტის გარდაქმნისა ჩვეულებრივ ქორეოდრამად, სამაგიეროდ შემდეგ დამდგმელი ეიტოლდ ბარკოსკი ძალთოდან ცვლის გამოსახულების საშოალებებს და მუსიკის შესაბამისად ქმნის ბალეტის ფართო საცეკვაო სიფაფიზელს. დეკორატისმენტობა, როგორც ცეკვების თანმიმდევრული მონაცვლეობა, — სიუჟეტურად გაერთიანებული პან ტვარდოვსკისა და ეშმაკის ბირეოვნებებითა და მოქმედებებით, — უზრუნველყოფს ბალეტის ქმედითობას. წინასწარვე განსაზღვრავს მის ფორმას და, ეიმეორებთ, საცეკვაო ლექსიკას. ჩვენ უკვე ვთქვეთ, რომ კომპოზიტორის აზროვნების რეალისტური ხასიათი, ცეკვის კლასიკური ბუნების გრძნობა არ არსებობენ პოლონური ხალხური მელოდიებისაგან გამოყოფილად. ძნელი არ არის იმის გამოცნობა, რომ სწორედ მუსიკის ეს სპეციფიკა დაედო საფუძვლად ბალეტის ქორეოგრაფიას. ეროვნული მოძრაობათა გადახლართვა პოლონურ საცეკვაო ფოლკლორთან ქმნის საოსებით განსაკუთრებულ. სცენური საბალეტო მოქმედების განუმეორებელ კოლორიტს. აქ შეიძლება შეკვეთდეს მკაცრად გამოძერწილი კლასიკური ხაზები, მეორე მოქმედების ადაჟიოში ხორცი რომ შეუსხამს — პირველი მოქმედების იტალიური ფიეტებში, ტორებშიც. ნახტომებშიც და მრავალ სხვა ტრადიციულ კლასიკურ მოძრაობაში. ამავე დროს, თან ბეერდით გვხიბლავს, ფიცხი, თამამი მაზურკა. ქარაშხლიანი კრაკოვიაკი, ბერეთელ ბობერი მუსიკის მოტივები და ეგრეთწოდებული „აღმოსავლური ნიუანსები" მთელი კომპლექსი. საცეკვაო ლექსიკაში და მთელ ამ ნაირფეროვნებაში ვერ იგრძნობთ სიჭრელეს. შეუთანხმებლობას, „ფეხეიერებას" და ეკლექტიკურ შეუსაბამობას. პირიქით, დასის ტექნიკური მოხდენილობა და გაწაფულობა, მისი ახალგაზრდობა და შემარეთება, ტემპერამენტი და შთაგონება ქმნის ქორეოგრაფიული სირთულეს მთელ ნაპნჩერს. ცეკვის მრავალფეროვან კომბინაციებს, მათში ორლეკვ მთლიანობად შეკრული მკვეთრი ხასიათის, კლასიკური და ისტორიიულ-საყოფაცხოვრებო ეიკვის სტიქია. აქ პირველ რიგში გვინდა შეეხნოთ ე. იაკუბიაკი პან ტვარდოვსკის პარტიაში.

უნდა ითქვას, რომ პანის კოსტუმი (ცოტა ძმიმე) ყოველთვის არ შეესაბამება ჩვეულებრივ წარმოდგენას კლასიკური პარტიის ტიპიური შემსრულებლის ჩაცმულობაზე, ხოლო იქ. სადაც ბალეტმეისტერი მოცეკვავეს „თავისუფლებას" მეტისმეტად უხვი მორთულობისაგან (მაგალითად, ადაჟიოში), საბალეტო კლასიკის თვალსაზრისით შესრულებელი მოგებული რნება. კარგი საცეკვაო დახვეწილობა გვიჩვენებს ალინა ვაკოვსკაიმ (ქვესკნელის დედოფალი, ოდეტი ასრულებდა ალმოსავლეთის დედოფლის როლს). ანნინა ნესობსკაიმ (მაცდური), ვლადიმერ ტრაგუსკიმ (ეშმაკი). განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ეგზენიუშაში კოვალჩიკი გრუტესკულ ქალის პარტიაში (პანი ტვარდოსკა) და ბალეტის დამდგმელი ეიტოლდ ბორკოვსკი პანტომიმურ ეიკვაში. მეფე ზიგმუნდ ავგუსტის წმინდა დრამატულ როლში. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ სცენური ზომიერების გრძნობაზე და შემსრულებელთა არტისტიზმზე.

ახალი საავადმყოფო

წულუკიძე. (საკ. კორ.). აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 240-საწოლიანი რაიონული საავადმყოფო.

ჯანმრთელობის დაცვის ეს შესანიშნავი ერა ოთხსართულიანია. მთავარი კორპუსის გარდა აქვე აიგო რაიონული პოლიკლინიკის, ინფექციური დაავადებათა და საშიერნო კორპუსები.

ახალ საავადმყოფოს (მთავარი ექიმი რეს პუბლიკის დამსახურებული ბელი ექიმი ს. მებოკი) აქვს თერაპიული, ზოგადქირურგიული, სამეანო, ინფექციური, გინეკოლოგიური და სამშობიარო განყოფილებები. ავრეთვე ფიზიოთერაპიული სამკურნალო, ულტრაფეხ სამედიცინო ლაბორატორიები და ლაბორატორიები.

ამ მონუმენტური ნაგებობის მშენებლობა გათვალისწინებულ ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრეს ქუთაისის № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის ნოლოკიძის მე-5 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი გრ. წაქერიშვილი) მშენებლებმა.

სპეციალური ტურისტული ბილიკებით

კუთაისი. (საკ. კორ.). აქ გაიხსნა საზეიმოდ ტურისტული სეზონი. 45-ე საკავშირო მარშრუტით, რომელიც ამიერკავკასიის მთავარ ქალაქებზე გადის. ქუთაისში ტურისტები ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, მინსკიდან, ტაშკენტიდან, ნოვოსიბირსკიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

ტურისტები ქუთაისში ორ დღეს რჩებიან და ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებთან ერთად ათვალიერებენ კუროორტ წყალტუბოს, გელათისა და სათაფლიას.

ზაფხულში ქუთაისზე ხუთი ტურისტული მარშრუტი გაივლის. ქალაქის ტურისტულ ბაზაში, რომელიც მომზადებული შეხვდა სეზონს, დღემდე 5 ათასზე მეტმა კაცმა დაისვენა. წელს ქუთაისს 25 ათასზე მეტი ტურისტი ეწვევა.

ლიეტური კვება—შეღავათიან ფასებში

ტყიბული. (საკ. კორ.). პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ მეშახტეთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას. მუშათა ერთმა ნაწილმა უკვე დაისვენა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ორჯონიკიძის სახელობის შახტის საშალტო კომიტეტმა ავადმყოფ მეშახტეს შეღავათიან ფასებში გასცა დიეტური კვების 9 საკაზური. მეჭანიკოსი შ. დვალი, ამფეთქებელი გ. სოფრომაძე და ტექნიკური კონტროლის განყოფილების წარმომადგენელი რ. ცირეკიძე დიეტურ სასადილოში იკვებებოდნენ შეღავათიან ფასებში.

შემთხვევა

ხანძარი ჩაქრეს

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). სოფელ მაქათუბანში მცენარეთა გამბმარ ფოთლებსა და ტოტებს ცეცხლი მოედო. ხანძარი ძლიერდებოდა. განადგურება ემუქრებოდა 25 ჰექტარ ტყეს და სოფელს.

საშიშროება შეეხშნა ი. ზუმბაძეს. იგი გაბედულად შეებრძოლა გამძვინვარებულ ტანეულს. მას ერ. ზუმბაძეც მიეშველა. მათმა თავგანწირვამ ხანძარი დაამარცხა, სოფლის მშვენება — ტყე დაწვას გადაარჩინა. მამაცმა ადამიანებმა თანასოფელელთა მადლობა დიმსახურეს.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ცხაკაია. (საკ. კორ.). აქ ჩატარდა რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნიერო სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამაშელ, ცხაკაიას, ზუგდიდს, გეგეჭკორს და ჩხოროწყუს რაიონების სპეციალისტმა ექიმებმა, პროფესორებმა გ. ნახარიშვილმა და დ. მიქელაძემ. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა ქ. გარსიაშვილმა, ნ. დეკანოზიშვილმა და სხვებმა.

სესიის მეორე დღეს მეცნიერებმა მოაწყეს ავადმყოფთათვის კონსულტაციები.

თბილისელები — ლიდერები

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეცამეტე ტურის მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. თამაშობდნენ თბილისის „დინამოსა" და დედაქალაქის „ლოკომოტივის" გუნდები. დინამოელები აღმავლობით იბრძოდნენ, გაიმარჯვეს 1:0 და კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ. ამ ერთადერთი გოლის ავტორი იყო გ. ნოდია.

რამდენიმე სტრიქონით

ბალიტონშლეპაკაში გრძელდება ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. აქ სხვებთან ერთად გამოდიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები. გუშინდელამდე გათამაშდა 11 ტური. ლიდერობს ინარჩუნებს საბჭოთა მოჭადრაკე მ. რანიკე, რომელსაც 9.5 ქულა აქვს. 7.5-7.5 ქულა აქვთ ეფროსინა და პოლერნოხოდეს.

დღეს გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენს შეხვედრა ქუთაისში, სადაც პაექრობა ეწეკნენ ქუთაისის ტორპედოელებსა და მათს მოსკოველ თანაკლუბელებს. ამავე დღეს ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის", მინსკის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ Ზ. Ა. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲝ დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეთხუთე სესიის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მთელი რიგი ბრძანებულებები, რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად უნდა განიხილოს და დამტკიცოს მომდინარე სესიაზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამავალა მოგახსენოთ ამ ბრძანებულებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ზოგიერთი ცვლილება მოახდინა საბჭოლმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემაში.

1969 წლის 19 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 25 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოდ.

აღნიშნულ ბრძანებულებათა დამტკიცებასთან ერთად საჭიროა შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ მთავრობა — მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

ამ მუხლიდან ამოღებულ უნდა იქნას სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე". ხოლო სიტყვების შემდეგ: „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე" დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე"; ამავე მუხლს სიტყვების შემდეგ: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი" დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი".

1969 წლის 28 მაისის ბრძანებულებით შეიცვალა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნის წესი. სახელდობრ, თუ აქამდე მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებს შექმნა ან ლიკვიდაცია ხდებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგენების საფუძველზე ამიერიდან ადგილობრივი საბჭოების მეურნეობის თავისებურებათა გათვალისწინებით აღმასრულებელ კომიტეტთა განყოფილებებისა და სამმართველოებს შექმნისა და გაერდაქმნის საკითხს გადაწყვეტს შესაბამისი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 81-ე, 102-ე და 104-ე მუხლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 19 მარტს მიიღო ბრძანებულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბრჭეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები.

ამავე თარიღის ბრძანებულებით შეიქმნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის განყოფილება და საბინაო და საგარაჟო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველო.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 20 თებერვალს მიიღო ბრძანებულება საქართველოს სსრ სისტემის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ.

ბრძანებულებით დადგინდა, რომ თუ სამჭიდრო ვალდებული თავს არიდებს სასზეადო ან შესამოწმებელ შეკრებას, იგი ამისათვის დაისჯება ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია თავისი თავისთვის რაიმე ზიანის მიყენების, ავადმყოფობის სიმულაციის, საბუთების გაყალბების ან სხვაგვარი მოტყუების საშუალებით. აგრეთვე თუ იგი ჩადენილია სხვა დამამძიმებელ გარემოებებში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

სამხედრო ვალდებულის მიერ სამხედრო აღრიცხვისათვის თავის არიდება, თუ ადრე ასეთივე ქმედობისათვის მის მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი სამ თვემდე ან ჯარიმით ოც მანეთამდე.

ამხანაგო დეპუტატებო! მეოთხე სესიიდან მიმდინარე სესიამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 36-ე მუხლის შესაბამისად დანიშნა და გათავისუფლა საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრი.

1969 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით ამხანაგი ვასილ ალექსანდრეს-ძე ჩოფიკაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

1969 წლის 19 მარტის ბრძანებულებით ამხანაგი გივი შალვას-ძე მიქელაძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 25 აპრილის ბრძანებულებით ამხანაგი გიორგი ნიკოლოზის-ძე ბარძიმოვი დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად.

1969 წლის 15 მაისის ბრძანებულებით ამხანაგი დამიანე ელადიმერის-ძე გოგოხია გათავისუფლდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ამავე თარიღის ბრძანებულებით ამხანაგი ზურაბ გიორგის-ძე ახალეფდიანი დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კანონებისა და დადგენილებების პროექტები თქვენ ხელთ გაქვთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ განიხილოთ და დამტკიცოთ ისინი.

დეპუტატ ზ. ა. ოქრომჭედლიშვილის

სიტყვა

ფრიად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას ქართველ კინემატოგრაფიტსთა წინაშე.

გასულ წელს მთავრობის დადგენილებით კინემატოგრაფიის სისტემაში მოხდა რეორგანიზაცია, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. რესპუბლიკის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების დაწესებულებები წლების მანძილზე ვერ ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმებს. 1968 წელს განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებების შედეგად მივაღწიეთ ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციას.

საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ.

კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა